

მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესთა კოლიზია

ნონა კალატოზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მაისურაძე, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ხელმოწერა: _____ ნონა კალატოზიშვილი

თარიღი: 22.06.2018

აბსტრაქტი

იურისპრუდენცია რთული სფეროა, განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალი, რომელიც საკმაოდ პრობლემატურ თემებს მოიცავს. მოცემული ნაშრომი ეხება საკუთრების უფლებას, რომელიც განიხილება ადამიანის უფლებათა შორის ძირითად უფლებად. ასევე საკუთრების უფლების შექმნის საფუძვლებს, როგორც მოძრავი ასევე უძრავი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შემთხვევაში. გამომდინარე იქიდან, რომ სამოქალაქო სამართალში ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ადგილი აქვს მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემქმნის ინტერესთა კოლიზიას, განხილული იქნება თუ, როგორ მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მესაკუთრისა და კეთილსინდისიერი შემქმნის უფლებების მიმართ, ასევე როგორია სასამართლო პრაქტიკა, როგორც უძრავი ასევე მოძრავი ქონების არაუფლებამოსილი პირის მიერ გასხვისების შემთხვევაში, როდესაც მოძრავი ქონება მესაკუთრის მფლობელობიდან მისი ნების წინააღმდეგ გადის, კარგავს, ან შემქმნი მას უსასყიდლოდ იღებს, ასევე არამატერიალური ქონებრივი სიკეთის არაუფლებამოსილი პირის მიერ გამოყენების შემთხვევები. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მოცემულ სიტუაციებში წამოჭრილი პრობლემების გაცნობა და მათი სამართლებრივი გადაწყვეტის გზების განხილვა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კეთილსინდისიერი შემქმნი, არაუფლებამოსილი გამსხვისებელი, ინტერესთა კოლიზია.

Abstract

Jurisprudence is a difficult field especially the civil law, which involves quite problematic topics. Given work is about a property right that is considered as an absolute right among human rights. In addition, the fundamentals of the acquisition of ownership rights, as for movable so immovable and intangible property cases. Due to the circumstances that in civil law there are many cases regarding the collision of interests between the rights of the ownership and the good purchaser, there will be discussed how the civil code of Georgia applies to the rights of the ownership and the good purchaser. In addition what is the common practice of court in case of alienation by unauthorized person, as for movable so immovable property, when movable property is given away from the ownership against the will of the possessor, is lost, albeit the purchaser gets it free of charge, as well as the case of usage of intangible property by unauthorized person. The aim of the work is to get acquainted with the raised problems for the given situations and consider their legal solutions.

Core Keywords: good purchaser, unauthorized alienator, collision of interests